სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

შპს „ბაჯითის“ დირექტორის მინდობილი
პირის ამირან ცხადაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მოგახსენებთ, რომ ჩვენ გავითვალისწინეთ თქვენი 31/03/2017 წლის **ბრძანება № 3179634-ით** წარმოდგენილი შენიშვნები. შესაბამისად,

დამუშავდა არქიტექტურული პროექტი (კორექტირებული ვარიანტი ატვირთული იქნება ელექტრონულად);

შესწორდა მიხეილ კვეტენაძის მიერ ამირან ცხადაძეზე გაცემული მინდობილობა;

ასევე, წარმოგიდგენთ სს კაპიტალბანკის თანხმობის წერილს, რომელსაც ხელს აწერს ლიკვიდატორი - არჩილ ვაშაკიძე და სს კაპიტალ ბანკის ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან, რითაც დასტურდება არჩილ ვაშაკიძის უფლებამოსილება.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, არსებული ხარვეზი ჩაითვალოს შევსებულად.

პატივისცემით,

ამირან ცხადაძე

შპს „ბაჯითის“ დირექტორის მინდობილი პირი

20.04.2017 წ.

შპს "ბაჯითი"

21.06.2016 წ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მიხეილ კვეტენაძე (პ/ნ: 18001002857) შპს „ბაჯითის“ (ს/კ 401948041; ივ. ჯავახიშვილის 100) დირექტორი, დირექტორი უფლებამოსილებას ვანიჭებ ამირან ცხადაძეს (პ/ნ 18001054640) მასზედ, რომ შპს "ბაჯითის " საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.13.027.055; მისამართი: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. № 9ბ-11) არსებული შენობა-ნაგებობის (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის) დასრულებისა და შემდგომი ლეგალიზაციის მიზნით აწარმოოს ყველა საჭირო პროცედურა ადგილობრივ, ადმინისტრაციულ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის არქიტექტურის სამსახურთან. ასევე, კომპანია „ბაჯითის“ სახელით განახორციელოს ნებისმიერი და ყველა სხვა მოქმედება, რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობის დასრულების და შემდგომი ლეგალიზაციის უფლების მოსაპოვებლად, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს წინამდებარე მინდობილობის ფარგლებში.

მინდობილობა ძალაშია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურიდან დადებითი დასკვნის მიღებამდე.

მიხეილ კვეტენაძე

შპს „ბაჯითის“ დირექტორი

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამშენებლო მიწის ნაკვეთის შესახებ:

სამშენებლო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. №11 / 9ბ-ში (ქალაქის ცენტრალური ზონა);

მიწის ნაკვეთის ფართობია - 585.00 მ^2;

ს/კ - 01.10.13.027.055;

მიწის ნაკვეთი სწორი რელიეფისაა. სამი მხრიდან (ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი, სამხრეთი) ესაზღვრება სამეზობლო სივრცე, ხოლო დასავლეთიდან - საზოგადოებრივი - იოსებიძის ქუჩა. ტერიტორიას აქვს ერთი ძირითადი მისასვლელი იოსებიძის ქუჩიდან. მიწის ნაკვეთზე არის სპონტანურად ამოსული მწვანე ნარგავები - ძირითადად ბუჩქები.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წინა მესაკუთრემ 2003-2004 წლებში უნებართვოდ აწარმოა მშენებლობა. აშენდა სარდაფი და პირველი სართულის რკინა-ბეტონის კარკასი, რომელიც გარე პერიმეტრზე ნაწილობრივ შევსებულია 20x20x40 სანტიმეტრის სამშენებლო ბლოკით. ასევე, მეორე სართულზე, შენობის გარე პერიმეტრზე 20x20x40 სანტიმეტრის სამშენებლო ბლოკით აშენებულია (არასრულად) სამი კედელი. შენობას არ გააჩნია კიბის უჯრედი, სავარაუდოდ, იგეგმებოდა კიბის უჯრედის მიშენება. მიზეზთა გამო 2004 წლის ბოლოს მშენებლობა შეჩერდა, შენობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება ვერ მოხერხდა.

იმას, რომ ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობა აშენდა 2003-2004 წლებში, ადასტურებს 2005 წლის ორთოფოტო.

არსებული შენობა ნაგებობის დახასიათება

არსებული შენობა ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობის (ზომების, სიმტკიცის და გამოყენებული არმატურის მახაზიათებლებისა და მოცულობის), ასევე არსებული შენობის არქიტექტურული წყობის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ წინა მეპატრონეს განზრახული ჰქონდა აეშენებინა III კლასის (შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით) 4-5 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი სარდაფით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლობა ვერ დასრულდა.

დღეის მდგომარეობით არსებული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლებია:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 585.00 მ^2;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი - 220.00 მ^2;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსიობის ფართობი - 220.00 მ^2;

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე - 10.65 მ;

0,00 ნიშნულს ზემოთ - 6.60 მ;

0,00 ნიშნულს ქვემოთ - 4.05 მ;

მიზანი:

მესაკუთრეს აქვს სურვილი მოახდინოს არსებული შენობა-ნაგებობის დასრულება შემდგომი ლეგალიზაციით, რისთვისაც დამუშავდა შესაბამისი არქიტექტურული პროექტი.

საპროექტო შენობა ნაგებობის დახასიათება

საპროექტო შენობა ნაგებობა წარმოადგენს III კლასის (შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით) 2 სართულიან შენობას სარდაფით. შენობა კარკასული ტიპისაა. სვეტები და რიგელები რკინაბეტონისაა. სართულშუა გადახურვები და სახურავი წარმოადგენს რკინაბეტონის მომოლითურ ფილას. შემავსებლად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკი ზომებით - 20x20x40 სანტიმეტრი. ფასადის მოპირკეთება ხდება შელესვით, ნალესზე აგურის ფაქტურის ამოკვეთით და შეთებვით. საღებავი - მაღალი ხარისხის წყალემულსიის საღებავი, ფერი - აგურისფერი. იმდენად, რამდენადაც არსებულ შენობაში გათვალისწინებილი არ იყო კიბის უჯრედი, მოხდა მისი დაპროექტება "1"-"2" და "ვ"-"დ" ღერძებს შორის.

ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 585.00 მ^2 ;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი - 242.06 მ^2;

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსიობის ფართობი - 446.96 მ^2;

საერთო ფართი - **495.93 მ^2**;

მათ შორის საზაფხულო ფართი - 26.36 მ^2;

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე - 11.95 მ;

0,00 ნიშნულს ზემოთ - 7.90 მ;

0,00 ნიშნულს ქვემოთ - 4.05 მ;

შენობის სამშენებლო მოცულობა - 2524,99 მ^3;

0,00 ნიშნულს ზემოთ - 1759,01 მ^3;

0,00 ნიშნულს ქვემოთ - 766.08 მ^3;

კ1=0.4

კ2=0.8

მოთხოვნის ტექსტი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველსე გთხოვთ, მოგვცეთ ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. №11 / 9ბ-ში (ს/კ - 01.10.13.027.055) არსებული შენობა-ნაგებობის დასრულების უფლება შემდგომი ლეგალიზაციით.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.13.027.055**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016757208 - 02/11/2016 15:47:38

მომზადების თარიღი
02/11/2016 17:45:36

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	საბურთალო		
01	**10**	**13**	**027/055**

მისამართი: ქალაქი თბილისი , იოსებიძის ქუჩა N11 / ქალაქი თბილისი , თინა იოსებიძის ქუჩა , N 9ბ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 585.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.10.13.027.026; 01.10.13.027.033;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:
N2-(მშენებარე)
და ნაგებობა N1, N3.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010772796 , თარიღი 03/09/2010 17:00:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/09/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:03/09/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გაღაწყვეტილება NM14002602 , დამოწმების თარიღი:28/04/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:22/09/2010 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ბავშითი", ID ნომერი:401948041

მესაკუთრე:
შპს "ბავშითი"

აღწერა:

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016517724 თარიღი 11/08/2016 17:53:04

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება კაპიტალ ბანკი204447349;
მესაკუთრე: **შპს "ბაჯითი"**401948041;
საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 585.00 კვ.მ და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობები;

იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N160895650, დამოწმების თარიღი11/08/2016, ნოტარიუსი ოთარ გოლოძე

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/08/2016

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.10.13.027.055**

განცხადების ნომერი: **882016032679**

მომზადების თარიღი: **26/01/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **585 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

samsaxuris ufrosi

saqarTvelo
q.Tbilisis meria
ssip. q. Tbilisis arqiteqturis samsaxuri

situaciuri gegma



ganyofil. ufrosi		
mTavari spec.ti		



pirobiTi aRniSvnebi	SeniSvna: miwis samuSaoebi SeaTanxmeT komunikaciis warmomadgenlebTanN			proeqcia UTM 38N sakoordinato sostema WGS 84	
miwisqveSa komunikaciebi	nakveTis sazRvari	buCqi	cocxali Robe	Robe	
kanalizacia	Senoba	gazoni	xeebis rigi	bordiuri	
denis kabeli	arka	sameTvalyureo Webi	transformatori	betoni	
gazis mili	farduli	Zegli	radio an telefonis anZa	kedeli	
wylis mili	kibe	Sadrevani	lampionebi	sayrdeni kedeli	
kavširgაბმულობა	foTlovani xe	onkani	eleqtro boZi	biliki	
	wiwvovani xe	wyaro an Wa	rkinigza	gzis konturi	
	xexilis xe	benzingasamarTi sadguri	izohifsi	flate	
	palma	maRali Zabvis gadamcemi	mTavari izohifsi	wylis konturi	

Sps.,,privatteqservisi"
q. Tbilisi, mtkvris quCaA#6

Ltd "PRIVATTEKSERVISI"
mob: +995 514-44-11-41.
E-mail: zviadiw@gmail.com

direqtori		z. wiklauri
komp. uzrunvelyofa:		z. wiklauri
azomda		l. CitaiSvili
misamarTi'	q. Tbilisi, iosebiZis quCa #9b-#11 sak. kodi: 01.10.13.027.055	
	maStabi 1:500	14.04.2016

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17035683, 24/03/2017 10:36:11

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაჯითი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	401948041
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	25/06/2010
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ივ. ჯავახიშვილის ქ., №100
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	misha@softmaster.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 18001002857, მიხეილ კვეტენაძე

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
18001002857, მიხეილ კვეტენაძე	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სიტუაციური გეგმა საპროექტო ობიექტის, ქუჩებისა და მისამართების ჩვენებით



სიტუაციური გეგმა საპროექტო ობიექტისა და მიმდებარე საკადასტრო მონაცემების ჩვენებით



ორთოფოტო საპროექტო ობიექტის მდებარეობის ჩვენებით



ორთოფოტო (2005 წელი)



ქ. თბილისში, იოსებიძის ქ. # 9ა - #11 -ში (ს/კ - 01.10.13.027.055) არსებული შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების დასრულების კალენდარული გრაფიკი 18 თვეზე გათვლით

სამუშაოების დასახელება	ხანგრძლივობა (დღე)	I			II			III			IV			V			VI			VII			VIII			IX			X			XI			XII			XII			XIV			XV			XVI			XVII			XVIII		
		10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30	10	20	30
მოსამზადებელი სამუშაოები	10																																																						
მიწის სამუშაოები	7																																																						
კიბის უჯრედის საძირკვლის, რკინაბეტონის კედლისა და კიბის მოწყობა 0.00 ნიშნულამდე	20																																																					
კიბის უჯრედის კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა 0.00 - + 3.75 ნიშნულებს შორის	20																																																				
მეორე სართულის კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა	60																																																				
რკინაბეტონის გასახურვის ფილის მოწყობა + 7.050 ნიშნულზე	30																																																			
პარაპეტის მოწყობა	20																																																			
გარე და შიდა კედლების მოწყობა	70																																																		
კიბის უჯრედის პერიმეტრზე სახურავის მოწყობა	7																																																		
ფასადზე კარებებისა და ფანჯრების მოწყობა	22																																																		
ფასადის შელესვითი სამუშაოები და მოპირკეთება	120																																																		
შიდა სამუშაოები	180																																																		
დასუფთავება და სამშენებლო ნარჩენების გატანა	30																																																		
სხვადასხვა სამუშაოები	540																																																		

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

17820265757016

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იპოთეკა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160895650

რეგისტრაციის თარიღი

11.08.2016 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, # 30, მე-2 სართული, #8
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თექვსმეტი წლის თერთმეტ აგვისტოს, მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს, სანოტარო ბიურო მდებარე მისამართზე: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №30, მე-2 სართული, №8, მომმართეს **სს კაპიტალ ბანკის (ს/კ 204447349)** გენერალური დირექტორმა გიორგი **გზირიშვილმა** და **შპს ბაჯითი-ს** (ს/კ 401948041) დირექტორმა **მიხეილ კვეტენაძემ,** რომლებმაც მოითხოვეს **იპოთეკის ხელშეკრულების** შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთანავე მათ მოითხოვეს სანოტარო მოქმედების შესრულება მისამართზე: თბილისი, ვერცხლის ქ. №1.

მე გამოვცხადდი აღნიშნულ მისამართზე, შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი გზირიშვილმა** (დაბ: 05.02.1972წ. მის: თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 61. პ/ნ 01008035034) და **მიხეილ კვეტენაძემ** (დაბ: 27.10.1974 წ. მის: თბილისი დიღმის მას. V კვ. კორ. 20 ბ. 49, პ/ნ **18001002857**) მომმართეს.

გიორგი გზირიშვილის, როგორც **სს კაპიტალ ბანკის (ს/კ 204447349) გენერალური დირექტორის** უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის № B 16084977, მომზადების თარიღი: 03.06.2016 წელი. **სს კაპიტალ ბანკი (ს/კ 204447349)** რეგისტრირებულია კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს მიერ 22.07.2003 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი: **204447349**, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვერცხლის ქ. №1, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის № B 16084977, მომზადების თარიღი: 03.06.2016 წელი.

მიხეილ კვეტენაძის, როგორც **შპს ბაჯითი-ს** (ს/კ 401948041) **დირექტორის** უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, განაცხადის რეგისტრაციის № B 16071359, მომზადების თარიღი: 26.04.2016 წელი

მე აგრეთვე შევამოწმე **შპს ბაჯითი-ს** (ს/კ 401948041) უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის საკუთრებაშია **უძრავი ნივთი** – 585.00 კვ.მ მიწა მასზე არსებული **შენობა-ნაგებობებით,** მდებარე მისამართზე – **ქალაქი თბილისი, იოსებიძის ქ. №11 / ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძის ქუჩა, №9ბ, საკ. კოდი: 01.10.13.027.055,** თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან განცხადების რეგისტრაციის **882016513086 – 10.08.2016,** მომზადების თარიღი 11.08.2016.

მე, ნოტარიუსმა შევადგინე **იპოთეკის ხელშეკრულება,** მხარეებს წავუკითხე და განვუმარტე ამ ხელშეკრულების შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მხარეებმა თავადაც წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და განაცხადეს, რომ იგი გამოხატავს მათ ნებას, რის შემდეგაც მხარეებმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულების ოთხ ეგზემპლარს.

ხელშეკრულების მხარეთა განცხადებით ამ ხელშეკრულების ღირებულებაა იპოთეკის თანხა: 350000 (სამასორმოცდაათი ათასი) ლარი.

იპოთეკის ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის №**882016513086**.
2. ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან B 16084977 (ინახება ნოტ. ო. გოლოძის არქივში **N141347034)**
3. სს კაპიტალ ბანკის წესდება (07.10.2014, რ/რ №141100996, ნოტ. ნ. ჯანხოთელი) - ინახება ნოტ. ო. გოლოძის არქივში N141347034
4. ამონაწერი მეწარმეთა რეესტრიდან B 16071359
5. შპს ბაჯითი-ს წესდება (25.06.2010, რ/რ №100620335, ნოტ. ო. ზოიძე)
6. შპს ბაჯითი-ს 100% წილის მესაკუთრის გადაწყვეტილება, 160895603, 11.08.2016.
7. 11.08.2016 წლის №160894682 მინდობილობა
8. გენერალური საკრედიტო/სასესხო ხელშეკრულება №2016-08-11-01, 11.08.2016.

საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 23-ე მუხლის თანახმად **862.5** ლარი, 10 ლარი თანახმად 34-ე მუხლისა, 2 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ – **157.05** ლარი.

იპოთეკის ხელშეკრულება

ერთის მხრივ, **სს კაპიტალ ბანკი (ს/კ 204447349)** შემდგომში – **იპოთეკარი,** წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი გზირიშვილის** (პ/ნ 01008035034) მიერ და მეორეს მხრივ **შპს ბაჯითი** (ს/კ 401948041), შემდგომში – **მესაკუთრე,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხეილ კვეტენაძის** (პ/ნ **18001002857**) მიერ, ვდებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების საგანია მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვა იპოთეკარის სასარგებლოდ იმ ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, რომლის წარმოშობის საფუძველია **სს კაპიტალ ბანკსა (ს/კ 204447349)** და **შპს პროფსერვისს (პ/ნ 405071782)** შორის დადებული **2016 წლის 11 აგვისტოს გენერალური საკრედიტო/სასესხო ხელშეკრულება №2016-08-11-01,** ასევე მის საფუძველზე დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

1.2. ამ ხელშეკრულებით იპოთეკარს უფლება აქვს იპოთეკარსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ზემოაღნიშნული გენერალური საკრედიტო სასესხო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციით ან მისი საკუთრებაში გადაცემით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. იპოთეკის საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით იპოთეკის საგანს წარმოადგენს "მესაკუთრის" საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, რომლის მახასიათებლებია:

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **№01.10.13.027.055**
განცხადების რეგისტრაცია **882016513086**
რეგისტრაციის თარიღი: **10/08/2016**
ზონა: **01 (თბილისი)**
სექტორი: **10 (საბურთალო)**
კვარტალი: **13**
ნაკვეთი: **027/055**
მისამართი: **ქალაქი თბილისი, იოსებიძის ქ. №11 / ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძის ქუჩა, №9ბ**

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **საკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო – სამეურნეო**

დაზუსტებული ფართობი: **585.00 კვ.მ.**
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.10.13.027.026; 01.10.13.027.033**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:
№2 – (მშენებარე) და ნაგებობა №1, №3

მესაკუთრე: **შპს ბაჯითი** (ს/კ **401948041**)

2.2 იპოთეკით იტვირთება მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი სრულად.

2.3 **იპოთეკარის წარმომადგენლისთვის ცნობილია, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ნივთი – იპოთეკის საგანი უფლებრივად უნაკლოა.**

2.4 **იპოთეკის საგნის/მესაკუთრის მის მიმართ ყადაღა/აკრძალვა არ არის რეგისტრირებული, მესაკუთრე მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა რეგისტრირებული არ არის,** რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის **№882016513086**, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ელექტრონული მონაცემთა ბაზებით, განთავსებული მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

2.5 **მხარეთა განცხადებით იპოთეკის საგნის ღირებულება შეადგენს 270 000 (ორასამოცდაათი ათასი) აშშ დოლარს.**

2.6 **იპოთეკარის წარმომადგენლის განცხადებით, მისთვის ცნობილია, რომ მას უფლება აქვს დაიკმაყოფილოს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის უფლებების რიგითობის შესაბამისად.**

3. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებები

3.1. მესაკუთრეები იპოთეკის საგნით უზრუნველყოფენ **სს კაპიტალ ბანკსა (ს/კ 204447349)** და **შპს პროფსერვისს (პ/ნ 405071782)** შორის დადებული **2016 წლის 11 აგვისტოს გენერალური საკრედიტო/სასესხო ხელშეკრულება №2016-08-11-01-ით** და მის საფუძველზე/ქვეშ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ (არაჯეროვნად, დაგვიანებით) შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას (პირგასამტეხლო და სხვა ზიანი) და იპოთეკის საგნის შენახვისა და რეალიზაციისთვის იპოთეკარის მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას;

3.2. 3.1 პუნქტში მითითებული გენერალური საკრედიტო სასესხო ხელშეკრულების პირობები:

- საბანკო კრედიტების ჯამური ლიმიტი - **500 000 (ხუთასი ათასი)** ლარი ან შესაბამისი ექვივალენტი აშშ დოლარი ან ევრო
- მოქმედების მაქსიმალური ვადა – 60 (სამოცი) კალენდარული თვე.
- **წლიური მაქსიმალური საპროცენტო** განაკვეთი – 24 (ოცდაოთხი) %

3.3 მხარეთა განცხადებით იპოთეკის თანხა არის **350 000 (სამასორმოცდაათი ათასი)** ლარი.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. <u>მესაკუთრე ვალდებულია:</u>

4.1.1. მიიღოს ყველა საჭირო ზომა იპოთეკის საგნის დაცვისა და კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის, დაიცვას იგი მესამე პირების ხელყოფისა და მოთხოვნებისაგან, არ დაუშვას მისი ღირებულების შემცირება, ხოლო თუ ასეთი შემცირება მაინც დადგა, შეცვალოს იპოთეკის საგანი იპოთეკარისთვის მისაღები სხვა ქონებით, რომელიც არ უნდა იყოს ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებულ ღირებულებაზე ნაკლები.

4.1.2. გაიღოს იპოთეკის საგნის შენახვის ხარჯები იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაციამდე;

4.1.3. აცნობოს იპოთეკარს ყოველი საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს იპოთეკის საგანზე;

4.1.4 იპოთეკარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს მას იპოთეკის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი;

4.1.5 იპოთეკარის მიერ იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის ან იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში იპოთეკარის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გაათავისუფლოს იპოთეკის საგანი ყველა იმ პირთან ერთად, ვინც მუდმივად ან დროებით იმყოფება იპოთეკის საგნის ტერიტორიაზე და პირდაპირ მფლობელობაში გადასცეს იპოთეკის საგანი იპოთეკარს ან ამ უკანასკნელის მიერ დასახელებულ ნებისმიერ პირს;

4.1.6 წინასწარ წერილობით შეათანხმოს იპოთეკართან იპოთეკის საგნის ან მისი ნაწილის გასხვისების საკითხი.

4.2. <u>მესაკუთრე უფლებამოსილია:</u>

4.2.1 იპოთეკის საგნით ისარგებლოს დანიშნულებისამებრ, არ დაუშვას იპოთეკის საგნის მდგომარეობის გაუარესება ან მისი ღირებულების შემცირება იმაზე მეტად, რაც ნორმალური ცვეთისას ხდება;

4.2.2 იპოთეკარისთვის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, იპოთეკის საგანი გარდაქმნას, გაყოს, გააერთიანოს სხვა ნივთ(ებ)თან (საგანთან) იმდაგვარად, რომ ამის შედეგად არ შემცირდეს იპოთეკის საგნის რეალური ღირებულება, ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება: იპოთეკის საგნის სხვა ნივთთან გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე, იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე, იპოთეკის საგნისთვის დამატებულ (მიშენებულ, დაშენებულ) ნივთზე, იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობებზე, თანასაკუთრების წილზე და იპოთეკის საგნის ნაყოფზე.

4.3. <u>იპოთეკარი ვალდებულია:</u>

4.3.1 არ დაუშვას ქმედებანი, რომლებიც გაართულებენ მესაკუთრის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

4.3.2 მესაკუთრეს დროულად მისცეს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.4. <u>იპოთეკარი უფლებამოსილია:</u>

4.4.1 იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იპოთეკის საგნის ღირებულება შემცირდება ან წარმოიშობა ამის საფრთხე, იპოთეკარს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს მის მიერ განსაზღვრულ ვადაში დამატებითი, იპოთეკარისათვის მისაღები ქონების იპოთეკით დატვირთვა ან იპოთეკის საგნის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა;

4.4.2. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის უფლებების რიგითობის შესაბამისად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ქონების ხარჯზე.

4.4.3 მოითხოვოს და მიიღოს ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელი მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. ამასთანავე, მოვალის მიერ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად ჩაითვლება ზედიზედ ორი თვის განმავლობაში გრაფიკით დადგენილი გადასახადის გადაუხდელობა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და მოქმედებს მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, ან მხარეთა სხვაგვარ წერილობით შეთანხმებამდე.

6. იპოთეკარის ინტერესების დაკმაყოფილება

6.1 მოვალის მიერ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება იპოთეკის საგნიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და გამოიყენოს შემდეგი საშუალებები:

6.1.1 იპოთეკის საგნის რეალიზაცია განახორციელოს აუქციონის მეშვეობით. აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ორი ფორმით:

- ✓ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ან კერძო აღმასრულებლის მეშვეობით;
- ✓ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა მიერ შერჩეული სპეციალისტის მეშვეობით.

6.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

6.3 მხარეები თანხმდებიან, რომ იპოთეკარს შეუძლია მოახდინოს იპოთეკის საგნის იძულებით აუქციონზე რეალიზაცია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

6.3.1 ამასთან მხარეები ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისაგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი შედეგების თაობაზე. ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს კრედიტორის (უფლებამონაცვლის, წარმომადგენლის) შესაბამისი წერილობითი განცხადების საფუძველზე ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, იპოთეკარს უფლება ექნება სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე, დაიწყოს მოვალის/მესაკუთრის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების იძულებითი აღსრულების პროცესი. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით. სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი არ აჩერებს აღსრულებას. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ იპოთეკარს ამ მუხლში აღნიშნული წესით ასევე აქვს ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის/მიღების უფლება ვადაზე ადრე იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე/მსესხებელი ორჯერ ზედიზედ არ გადაიხდის გრაფიკით გათვალისწინებულ თანხას (არაჯეროვანი შესრულება).

6.3.2 ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულებისას იპოთეკარი ვალდებულია, უზრუნველყოს მესაკუთრის ინტერესების დაცვა იმდენად, რამდენადაც ეს ხელს არ შეუშლის მოვალის მიმართ იპოთეკარის მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილებას; იპოთეკის საგნის გაყიდვით მიღებული თანხის ის ნაწილი, რომელიც აღემატება მოთხოვნის მოცულობისა და აღსრულების ხარჯების ჯამს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გადაეცეს მესაკუთრეს.

7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით. ასეთი ცვლილებები უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.

7.3. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

მხარეთა ხელმოწერები

იპოთეკარი სს კაპიტალ ბანკი ----------

მესაკუთრე შპს ბაჯითი ----------

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე



სს კაპიტალ ბანკი
JSC CAPITAL BANK

ლიკვიდატორი –
LIQUIDATOR

ქ. თბილისი 0108, ბესიკის ქუჩა N4. ტელ: +995 32 242 88 88, 577 98 40 43
4, Besiki str., 0108, Tbilisi Tel: +995 32 242 88 88, 577 98 40 43

N 4გ/ 28

07 აპრილი, 2017 წ.

შპს „ბაჯითი“-ს დირექტორს,
ბატონ *მიხეილ კვეტენაძეს*

ქ. თბილისი, 0102, გ. ზაზიაშვილის. N1, V სართული

თქვენი 2017 წლის 17 მარტის მიმართვის პასუხად მოგახსენებთ, რომ სს „კაპიტალ ბანკი“, როგორც უძრავი ქონების იპოთეკარი, თანხმობას აცხადებს შპს „ბაჯითის“ (ს.კ. 401948041) მიერ ქ. თბილისში, საბურთალოზე, იოსებიძის ქუჩის #11-ში/ქ. თბილისში, თინა იოსებიძის ქუჩის #9ბ-ში, შპს „ბაჯითის“ (ს.კ. 401948041) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.10.13.027.055) მდებარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებასა და შემდგომ ლეგალიზებაზე ამირან ცხადაძის (პ/ნ 18001054640) მიერ 27/02/2017 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილ განცხადებაზე #AR1482242 თანდართული არქიტექტურული პროექტის მიხედვით (*http://tas.ge/?p=publicpage&documentId=482242* ბოლოს შემოწმდა: 04.04.17).

ამასთანავე, ზემოაღნიშნულ პროექტში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილება ისევე, როგორც გადაწყვეტილება შენობა-ნაგებობის/მისი ნაწილის დემონტაჟის შესახებ და ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას იპოთეკის მიზანს, სავალდებულო წესით უნდა შეთანხმდეს სს „კაპიტალ ბანკის“ უფლებამოსილ წარმომადგენელთან.

დამატებით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს რაიმე ცვლილების შეტანას მხარეებს შორის 2016 წლის 11 აგვისტოს გაფორმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში (სმრნ N160895650, სმინ 17820265757016). ხსენებული ხელშეკრულების ყველა პირობა რჩება უცვლელი და აგრძელებს მოქმედებას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ასევე გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შპს „პროფსერვისის“ მიერ სს „კაპიტალ ბანკის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ბანკი შესაძლებელია იძულებული გახდეს, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულება მიაქციოს იპოთეკის საგანზე, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მესაკუთრის ცვლილება მშენებარე შენობა-ნაგებობაზეც.

პატივისცემით,

არჩილ ვაშაკიძე

სს „კაპიტალ ბანკის“ ლიკვიდატორი

სს კაპიტალ ბანკი ლიკვიდატორი 204447349 LIQUIDATOR JSC CAPITAL BANK

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17019718, 15/02/2017 12:47:46

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს კაპიტალ ბანკი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204447349
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	06/5-42; 22/07/2003
მარეგისტრირებელი ორგანო:	კრწანისი-მთაწმინდის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ვერცხლის ქ., N1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@capitalbank.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

სტატუსი:ლიკვიდაცია დაწყებულია

მმართველობის ორგანო

- აქციონერთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- 01008005193, არჩილ ვაშაკიძე

  ლიკვიდატორი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge